



გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები

პერიოდული


4 მარტი, 2021

• თებერვლის მეორე ნახევარში ინვესტორების ყურადღება აშშ-ს ობლიგაციებმა მიიქცეს. თებერვლის მეორე ნახევარში აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობა კიდევ უფრო გაიზარდა (ცნობისათვის ობლიგაციის ფასი და შემოსავლიანობა უკუპროპორციულია), რაც ძირითადად გაზრდილ ინფლაციურ მოლოდინებს და ეკონომიკის გაჯანსაღებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს 10 წლიან სახელმწიფო ობლიგაციის შემოსავლიანობამ ერთწლიან მაქსიმუმს მიაღწია და 1.6% შეადგინა, რაც ამერიკის კაპიტალის ბაზრების, კერძოდ კი S&P 500-ის დივიდენდის შემოსავლიანობის მაჩვენებელზე მაღალია. აღნიშნული მიუთითებს, რომ ინვესტორებისთვის ობლიგაციები უფრო მიმზიდველი ხდება. ამავე პერიოდში, ამერიკის 5-წლიანმა სახაზინო ობლიგაციის შემოსავლებმა 0.8%-ს, ხოლო 30-წლიანმა კი - 2.27%-ს მიაღწია.

• ამერიკის ფედერალური ბანკის (Fed) თავმჯდომარე, ჯერომ პაუელი, 23 თებერვალს სენატის საბანკო კომიტეტს წინაშე მოხსენებით წარსდგა. პაუელმა პირობა დადო, რომ Fed შეინარჩუნებს ბაზრისათვის ლიკვიდობის მიწოდებას, მანამ სანამ ინფლაციის მაჩვენებლები 2%-ს არ გადააჭარბებს, რასაც პაუელის თქმით შეიძლება 3 წელი დასჭირდეს. ამასთან, პაუელი გამოუხმაურა ობლიგაციების შემოსავლიანობის ზრდას და აღნიშნა, რომ ეს ბაზრების მხრიდან გაუმჯობესებული ეკონომიკური მოლოდინების მაჩვენებელია. აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებზე განაკვეთების მომატებამ, ასევე გაზარდა ევროპული კომპანიებისთვის დაფინანსების ხარჯები, რასაც ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი - კრისტიან ლაგარდი გამოუხმაურა და აღნიშნა, რომ ცენტრალური ბანკი "ყურადღებით აკვირდება" საპროცენტო განაკვეთებს, რათა თავიდან აიცილოს განაკვეთების დაჩქარებული ზრდა ევროზონის ეკონომიკების აღდგენამდე.


• საერთო ჯამში, გლობალური კაპიტალის ბაზრებისთვის თებერვლის მეორე ნახევარი საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ვინაიდან ამერიკაში სახაზინო ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდამ გლობალური ინდექსების შემცირება გამოიწვია. კერძოდ, ამერიკის S&P 500 ინდექსი თებერვლის ბოლო ორ კვირაში 3.1%-ით შემცირდა. ყველაზე დიდი დარტყმა, ტექნოლოგიურმა კომპანიებმა მიიღეს, NASDAQ თებერვლის მეორე ნახევარში 6.4%-ით შემცირდა. შემცირება მოხდა ასევე ევროპაშიც, სადაც STOXX 600 2.2%-ით შემცირდა, ხოლო FTSE 250 მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (-0.6%).

S&P 500 (აშშ)




იან თებ მარ აპრ მაი იულ აგვ სექ ოქტ ნოე იან თებ

Dow Jones Industrial Average (აშშ)




იან თებ მარ აპრ მაი იულ აგვ სექ ოქტ ნოე იან თებ

NASDAQ (აშშ)




იან თებ მარ აპრ მაი იულ აგვ სექ ოქტ ნოე იან თებ

STOXX 600 (ევროპა)




იან თებ მარ აპრ მაი იულ აგვ სექ ოქტ ნოე იან თებ

FTSE 250 (ლონდონი)



იან თებ მარ აპრ მაი იულ აგვ სექ ოქტ ნოე იან თებ

**Emerging Markets Index
(განვითარებადი ქვეყნები)**



იან თებ მარ აპრ მაი იულ აგვ სექ ოქტ ნოე იან თებ

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: 2021 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით

- ჩინეთის Shanghai Composite Index თებერვლის მეორე ნახევარში უმნიშვნელოდ, 0.4%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 2 მარტს ჩინეთის საბანკო და სადაზღვევო მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამერიკისა და ევროპის ბაზრებზე არსებულ შესაძლო ფინანსური „ბუშტებთან“ დაკავშირებით „ძალიან წუხს“ და მოელის რომ ბაზრების კორექტირება გარდაუვალია.
- იანვარსა და თებერვლის პირველ ნახევარში იაპონიის აქციების მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, იაპონიის Nikkei 225 ინდექსის მაჩვენებელი თებერვლის მეორე ნახევარში 2.0%-ით შემცირდა, ამერიკული და ევროპული აქციების შესაბამისად.


ნავთობი და ოქრო

- ნავთობის ფასების ზრდა თებერვლის მეორე ნახევარში გაგრძელდა. Brent-ის ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე \$66.3-ს გადააჭარბა, ხოლო WTI ნავთობის ფასმა კი \$61.5-ს მიაღწია. ნავთობის ფასების ზრდას ხელს უწყობს გაუმჯობესებული ეკონომიკური მოლოდინები და OPEC+-ის მხრიდან შემცირებული წარმოება.
- ობლიგაციების ბაზრებზე შემოსავლიანობის განაკვეთების ზრდა გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მოლოდინებთანაა დაკავშირებული, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს ოქროს ფასებზე, ვინაიდან ოქრო ინვესტორების მხრიდან უსაფრთხო აქტივად განიხილება. შედეგად, ოქროს ფასები თებერვლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად შემცირდა და 26 თებერვლისთვის ტროის უნციაზე \$1,734 შეადგინა, რაც 2020 წლის აგვისტოში არსებულ მონაცემებთან შედარებით 18%-ით ნაკლებია.


Volatility/მერყეობა ბაზარზე

- თებერვლის ბოლო 2 კვირაში აშშ-ს ობლიგაციების ბაზრებზე მიმდინარე მოვლენებმა და შესაბამისად ამერიკული აქციების ფასების შემცირებამ, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსის, VIX-ის, ზრდა გამოიწვია, რომელმაც 26 თებერვლის მდგომარეობით 28-ს მიაღწია.


Nikkei 225 (იაპონია)




Shanghai Composite Index (ჩინეთი)




ოქრო



ნავთობი (WTI)



ვოლატილობა (Vix)



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გაერცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გაერცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჰანიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: researchgt@gt.ge